საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გურიელი გრიგოლ დავითის ძე

გ. გურიელი

გურიელი გრიგოლ დავითის ძე (1817–1890, ოზურგეთი), საზოგადო მოღვაწე, რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-მაიორი (1880), მეცენატი, ქველმოქმედი, გურიის მთავრის მამია V გურიელის შვილიშვილი, გენ.-ლ. ლ. გურიელის ძმა. თბილ. სათავადაზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სამხ. სამსახურში შევიდა. ყირიმის ომის დროს იბრძოდა ქობულეთის მიმართულებით, მეთაურობდა გურიის მოხალისეთა რაზმს. 60-იანი წლებიდან მეთაურობდა მაშინდელი სამხრ. საზღვრის „კორდონის ხაზის“ სამხრ.-დას. მონაკვეთს. მისი წინადადებით, 1874 მოეწყო ექსპედიცია აჭარაში, შავშეთსა და სხვა რეგიონებში. ექსპედიციას თვითონ ხელმძღვანელობდა, თან ახლდა რუს. მთავარი შტაბის პოდპოლკოვნიკი გ. ყაზბეგი, რ-იც ესტუმრა შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილს (**გ**-ის ნათესავს) და ომის დროს თანადგომაზე შეითანხმა. 1877–78, რუს.-ოსმ. ომის პერიოდში, **გ**. ფართო სამხ. და დიპლ. მოღვაწეობას ეწეოდა. 1878 დაინიშნა ბათუმის ოკრუგის უფროსად. ჩაშალა ამ მხარის მოსახლეობის მუჰაჯირად (იხ. მუhაჯირობა) წასვლა; იბრძოდა ქართვ. მოხელეების დასაწინაურებლად. საადგილმამულო ურთიერთობის შესასწავლად და გადასაჭრელად შექმნა კომისია (ხელმძღვ. დ. ზ. ბაქრაზე), რ-საც ევალებოდა აგრეთვე ქართ. საგვარეულოების, მათი ზნე-ჩვეულებებისა და სხვა ტრადიციების გამოკვლევა. **გ**-მა ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა და ხელისუფლებაც თითქოს დიდად აფასებდა მის ღვაწლს, რადგან დიდი როლი შეასრულა აჭარის, იმერხევისა და შავშეთის მშვიდობიანად შემოერთებაში. ამის მიუხედავად, იგი ბათუმის ადმინისტრაციას ჩამოაშორეს, გენერლის წოდება მიანიჭეს და პენსია დაუნიშნეს.

გ. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის ერთ-ერთი დამაარსებელი (თავისი მდიდარი კოლექცია ამ საზ-ბას გადასცა). 1873 მისი ინიციატივითა და ხელშეწყობით გაიხსნა ოზურგეთის ქალთა საეპარქიო სასწავლებელი, რ-ის საპატიო მზრუნველი თავად იყო. ჰქონდა მდიდარი ბ-კა. მოიძია ქრისტ. ლიტ-რის, ქართ. სამართლისა და სხვა ძეგლები. იყო ცნობილი მეცენატი, აშენებდა სკოლებს და ამარაგებდა წიგნებით, თავისი ხარჯით გზავნიდა სასწავლებლად ქართვ. მაჰმადიან ახალგაზრდებს, ხელს უწყობდა სტამბების დაარსებას პროვინციებში, თავისი ხარჯით ბეჭდავდა წიგნებს, აგროვებდა ქართ. ხალხ. ზეპირსიტყვიერების მასალებს. გარდა ამისა, თანამშრომლობდა მოსკ. არქეოლ. საზ-ბასთან, ჩაატარა რამდენიმე გათხრა და შედეგები გამოაქვეყნა საზ-ბის შრომებში. **გ**-ის სახლი ოზურგეთში კულტ. ცენტრის ფუნქციას ასრულებდა; აქ იმართებოდა ლიტ. საღამოები და სცენის მოყვარულთა საქველმოქმედო წარმოდგენები. ოზურგეთში გააშენა ბაღი, უცხოეთიდან გამოიწერა ვაზის ჯიშები, იღვწოდა აბრეშუმის ჭიის გასავრცელებლად. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ა. წერეთელთან, ნ. ნიკოლაზესა და ს. მესხთან, რ. ერისთავსა და დ. ზ. ბაქრაძესთან, რამდენჯერმე მოიწვია უცხოელი სპეციალისტები გურიაში ნავთობის საძიებლად. ცნობილი იყო დემოკრ. შეხედულებებით.

ლიტ.: მ ე გ რ ე ლ ი ძ ე შ., ამაგდარი მამულიშვილი, «ლიტერატურული საქართველო», 1984, №17.

ფ. სიხარულიძე